

განზრახ მკვლელობა; ყაჩაღობა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№ 201-აპ-222-საზ

16 ივნისი, 2003 წელი, ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი
შემადგენლობით: მერაბ ტურავა (თავმჯდომარე),
ბადრი მეტრეველი,
გოდერძი ბორჩხაძე (მომხსენებელი),
ნინო გვენეტაძე,
მადონა გოგელია,
ირაკლი ბიბილაშვილი,
ბესო კობერიძე,
ნანა კლარჯეიშვილი,
თამარ ლალიაშვილი

სხდომის მდივანი – გ. რაზმაძე

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორები – ა. ხ.-ი, ა. ს.-ი

ადვოკატი – ე. ბ.-ა

დაზარალებული – ნ. ბ.-ა

განიხილა ადვოკატების – თ. პ.-ისა და ე. ბ.-ას საზედამხედველო და საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 16 სექტემბრისა და თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 15 ოქტომბრის განაჩენებზე, რომლებითაც ფ. ინ-ო-ი ბ.-ვი, – დაბადებული წელს,ლი, საქართველოს მოქალაქე, უცოლშვილო, ცნობილია დამნაშავედ საქართველოს 1960 წლის სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი, მეექვსე, მეშვიდე პუნქტებით, 228-ე მუხლის მეორე ნაწილით, 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით და მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა. ფ. ბ.-ვი სასჯელს იხდის 1997 წლის 26 სექტემბრიდან.

ადვოკატი თ. პ.-ი საზედამხედველო საჩივრით, რომელიც დღემდე განუხილველია ყაჩაღობის ბრალდების ნაწილში საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების გამო,

ითხოვს ფ. ბ.-ის მიმართ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 16 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

ადვოკატი ე. ბ.-ა საჩივრით ითხოვს როგორც უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენის, ასევე საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განაჩენის გაუქმებას და ფ. ბ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას მისი უდანაშაულობის მოტივით.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის მიერ 1998 წლის 20 ივლისს დამტკიცებული საბრალდებო დასკვნის მიხედვით ფ. ბ.-ვს ბრალი დაედო შემდეგ დანაშაულთა ჩადენაში:

1997 წლის 30 ივნისს, დაახლოებით 23 საათზე, ქ.ში,ის ქუჩაზე, მთვრალმა ფ. ბ.-მა დაყაჩაღების მიზნითის ნახევრად დანგრეულიის შენობაში მოტყუებით შეიყვანა თავისი ნაცნობი ბ. ბ.-ვი და დანის გამოყენების მუქარით მოსთხოვა, მისთვის გადაეცა ყელზე შებმული 100 – გრამიანი ოქროს ჯაჭვი, ორი ოქროს ბეჭედი და მაჯის საათი. ბ. ბ.-ვი ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა და წინააღმდეგობა გაუწია. ფ. ბ.-ვი დარწმუნდა, რომ ამ გზით ვერ დაეუფლებოდა ბ. ბ.-ის პირად ქონებას და შეიძლებოდა ამ უკანასკნელს იგი დანაშაულის ჩადენაში ემხილებინა, განიზრახა განსაკუთრებული სისასტიკით მისი მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ბ. ბ.-ვს ძლიერად ჩაარტყა ხელი სახეში, ჩაუმტვრია ცხვირის ძვალი და ბეტონის იატაკზე წააქცია. ამის შემდეგ ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მოკლა ის გულმკერდსა და ყელში დანის ოთხჯერ დარტყმით. დარწმუნდა რა, რომ მიყენებული ჭრილობებისაგან ბ. ბ.-ვი გარდაიცვალა, ყელიდან მოხსნა 100 – გრამიანი ოქროს ყელსაბამი, წააძრო ორი ოქროს ბეჭედი და მაჯის საათი, ე.ი. ყაჩაღური თავდასხმის გზით გასტაცა 1132 ლარის ღირებულების პირადი ნივთები.

1997 წლის 17 ივლისს, დაახლოებით 21 საათზე, მთვრალი ფ. ბ.-ვი მივიდა ქ.ში, დ.ის ქ. №.....-ში მდებარე კაფე-ბარში, სადაც რ. პ.-ნი დაბადების დღეს აღნიშნავდა. იქ კიდევ დალია ალკოჰოლური სასმელი, რის შემდეგაც უმიზეზოდ დაუწყო დავა ბარში შესულ ტ. თ.-ს. რ. პ.-მა მოუწოდა წესრიგისაკენ, რაზედაც ფ. ბ.-მა ატეხა ყვირილი, „ბუფეტის“ მიმართულებით ისროლა სკამი და დაამტვრია ჭურჭელი, წინააღმდეგობა გაუწია მოქალაქეებს, რომლებმაც სცადეს ხულიგნური ქმედების აღკვეთა, დაიწყო უმისამართოდ გინება, გადააბრუნა და დაამტვრია სკამები და მაგიდები. ამით რ. პ.-ნს მიაყენა 260 ლარის ღირებულების ზარალი. ფ. ბ.-ის ხულიგნური ქმედება, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავხედობით, გაგრძელდა დაახლოებით 20-25 წუთს, რა დროსაც უხეშად დაირღვა საზოგადოებრივი წესრიგი და შეფერხდა კაფე-ბარის ნორმალური მუშაობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ფ. ბ.-ვი ცნობილ იქნა დანაშაულად საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის პირველი, მეექვსე და მეშვიდე პუნქტებით, 228-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და მიესაჯა უვადო

თავისუფლების აღკვეთა. ყაჩაღობის ჩადენის ნაწილში კი სასამართლომ საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად იმ მოტივით, რომ ბ. ბ.-ის მკვლელობასა და ყაჩაღურ თავდასხმაში ფ. ბ.-თან ერთად მონაწილეობდა ე. ე.-ვი, რის შესახებაც ფ. ბ.-ის ბრალდებაში არ იყო მითითებული. ამასთან ერთად, იმავე განჩინებით სასამართლო კოლეგიამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ე. ე.-ის მიმართ სსკ-ის 104-ე მუხლის I, VI, VII პუნქტებით და 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით.

.....ის რაიონის პროკურატურაში ჩატარებული დამატებითი გამოძიებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ბ. ბ.-ის მკვლელობასა და ყაჩაღურ თავდასხმაში ფ. ბ.-თან ერთად მონაწილეობდა ე. ე.-ვი, მაგრამ იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი დაემალა გამოძიებას (იგი იძებნება სხვა დანაშაულისთვისაც), მის მიმართ ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე, ხოლო ფ. ბ.-ის მიმართ ყაჩაღობის ჩადენის ბრალდებით საქმე განსახილველად წარიმართა სასამართლოში.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 ივნისის განაჩენით ფ. ბ.-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი პუნქტით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელსრულების დაწესებულებაში მოხდით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ 2002 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2003 წლის 6 თებერვლის განჩინებით ერთ წარმოებად გაერთიანდა უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 16 სექტემბრის განაჩენზე შემოტანილი საზედამხედველო საჩივარი და საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის 2002 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე შემოტანილი საკასაციო საჩივარი.

2003 წლის 7 მაისს, ზემოაღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, საკასაციო პალატამ მიიღო განჩინება საქმის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის შესახებ.

აღვოკატ ე. ბ.-ს საჩივარი ფ. ბ.-ს მიმართ დადგენილი განაჩენების გაუქმებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს:

1. საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, არ მომხდარა საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, რის გამოც ფ. ბ.-ის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენები დაუსაბუთებელი და უკანონოა;
2. გარდაბნის რაიონის პროკურატურაში საქმის გამოძიების დროს საგამოძიებო ჯგუფში უკანონოდ იქნენ ჩართული შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკები, რამაც განაპირობა საპროცესო ნორმების დარღვევა და ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნა. სასამართლობმა კი გამამტყუნებელი განაჩენები დაუშვებელ მტკიცებულებებზე ააგეს;
3. წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებული ფ. ბ.-ი აწამეს და მის მიმართ სხვა დაუშვებელი მეთოდებიც გამოიყენეს;
4. სასამართლობმა მტკიცებულებათა შეფასების დროს გამოიჩინეს მიკერძოება და უსაფუძვლოდ უარყვეს იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც განსასჯელის უდანაშაულობაზე მიუთითებდნენ. ამის საპირისპიროდ ბრალდების მტკიცებულებად გამოიყენეს ისეთი ჩვენებები, რომლებიც არაფრით დასტურდება და მიცემულია იძულებით ან აშკარად დაინტერესებული პირების მიერ.

ანალოგიურ მოტივებზეა მითითებული ადვოკატ თ. პ.-ლის საზედამხედველო საჩივარშიც.

დიდი პალატის სხდომაზე ადვოკატმა ე. ბ.-ამ მოითხოვა მისი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, რასაც მხარი არ დაუჭირეს პროკურორებმა და დაზარალებულმა ნ. ბ.-ამ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები, განაჩენთა კანონიერება, გააანალიზა წარმოდგენილ საჩივართა საფუძვლიანობა და ხმათა უმრავლესობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფ. ბ.-ის მიმართ დადგენილი განაჩენები განზრახი მკვლელობისა და ყაჩაღობის ბრალდების ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნდეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას შემდეგ გარემოებათა გამო:

დიდი პალატა თვლის, რომ ბ. ბ.-ის დაყაჩაღებისა და მკვლელობის საქმის გამოძიებისას და სასამართლო განხილვის დროს დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის თაობაზე. იმავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: „მომკვლევნი, გამოძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, სასამართლო ვალდებულნი არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით”.

სსსკ-ის 503-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით: „გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე”.

ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მესამე ნაწილისა და მე-19 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად: „დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა, გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს”.

„მტკიცებულებათა შეფასება ხდება იმ მიზნით, რომ გაირკვეს: მათი დამოკიდებულება საქმისადმი (შესახებობა), დაცული იყო თუ არა საპროცესო კანონი მათი შეკრებისას (დასაშვებობა), მათი უტყუარობა და საკმარისობა დანაშაულის ჩადენის შესახებ დასკვნისათვის. მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით”.

დიდი პალატა იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად არ მოუპოვებიათ სრულყოფილი მტკიცებულებანი, ხოლო შეკრებილი მტკიცებულებანი გამოკვლეულ იქნა არაჯეროდ, რის გამოც ზუსტად და უდავოდ დადგენილი არ არის: როდის, რა ვითარებაში და ვის მიერ მოხდა ბ. ბ.-ის მკვლელობა, ვინ რა როლი შეასრულა მკვლელობასა და ყაჩაღობაში და მოკლულის ნივთებიდან ვინ რა გაიტაცა. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ სრულყოფილი და დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა ამ კითხვებზე, განზრახ მკვლელობის ნაწილში მაინც დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი ფ. ბ.-ის მიმართ და მას შეუფარდა უვადო თავისუფლების აღკვეთა. ყაჩაღობის ბრალდების ნაწილში კი საქმე დააბრუნა დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად, მაშინ, როცა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ყაჩაღობა და მკვლელობა ერთიან

დანაშაულს წარმოადგენს და იმდენად მჭიდროდ არიან დაკავშირებული, რომ ერთ-ერთი ამ დანაშაულისათვის დამნაშავედ ცნობა ფაქტობრივად ნიშნავს მეორე დანაშაულისათვისაც დამნაშავედ ცნობას. გარდა ამისა, სასამართლო კოლეგია ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდა მხოლოდ არაპირდაპირ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ასეთად გამოიყენა:

1. მოწმედ დაკითხული პირების: ნ. მ.-ის, ე. ე.-ის, ო. მ.-ვას, ე. ს.-ის, ვ. ე.-ის, ი. გ.-ის, დ. წ.-ის, რ. ს.-ის, რ. მ.-სა და დაზარალებულ ნ. ბ.-ას ჩვენებები;

2. დაზარალებულ ნ. ბ.-ას მიერ შვილის – ბ. ბ.-ის კუთვნილი ოქროს ყელსაბამისა და მაჯის საათის ამოცნობა;

3. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე რუსეთის ფედერაციის ქ.-ის შინაგან საქმეთა სამმართველოს-ის შინაგან საქმეთა განყოფილების №35 კაბინეტში ღივნის ქვეშ ყელსაბამის აღმოჩენის ფაქტი;

4. ოპერატიული გზით მოპოვებული აუდიოჩანაწერი, რომლის მიხედვით ფ. ბ.-ვი თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში პატიმრებთან საუბრობს, როგორ მოკლა ბ. ბ.-ვი.

პალატა აღნიშნავს, რომ ზემოდასახელებული მტკიცებულებები სასამართლო კოლეგიას ერთმანეთთან არ შეუჯერებია, სრულყოფილად არ გამოუკვლევეია და არ უმსჯელია იმის თაობაზე, მოპოვებულია თუ არა ისინი საპროცესო ნორმების დაცვით და კანონიერად. ამასთან, ზოგიერთ მათგანს არავითარი მტკიცებულებითი ღირებულება არ გააჩნია.

სახელდობრ: განაჩენის მიხედვით მოწმე ო. მ.-ამ წინასწარი გამოძიების დროს განმარტა, რომ 1997 წლის 3 ივლისს მასთან სახლში მივიდა ორი ახალგაზრდა წითელი ფერის „ჟიგულის“ მარკის ავტომანქანით. ერთ-ერთმა შესთავაზა ოთხკუთხა თვლიანი ოქროს ბეჭედი, რომელსაც ჩასმული ჰქონდა ერთი პატარა თეთრი ფერის ქვა. ო. მ.-ამ მათ უპასუხა, რომ უცხო პირებისაგან ძვირფასეულობას არ ყიდულობდა.

მოწმე ო. მ.-ას ჩვენების ზემოაღნიშნული ამონარიდი, მისი დაზუსტებისა და დაკონკრეტების გარეშე, არავითარ მტკიცებულებას არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული პირის ბრალეულობის შესახებ.

მოწმის სახით დაკითხული ე. ე.-ვი, რომელიც შემდგომ თვითონვე იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბ. ბ.-ის მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის და იტყობს როგორც ამ დანაშაულის, ასევე სხვა პირის მკვლელობის მცდელობისათვის, აჩვენებდა მხოლოდ იმას, რომ ფ. ბ.-ვი ატარებდა ჯიბის დანას. ბ. ბ.-ან შეხვედრისა და მისი მკვლელობის თაობაზე მას არავითარი ჩვენება არა აქვს მიცემული.

მოწმე ნ. მ.-ვი პირველი დაკითხვების დროს კატეგორიულად უარყოფდა მკვლელობის საღამოს ბ. ბ.-თან როგორც მისი, ასევე ფ. ბ.-ისა და ე. ე.-ის შეხვედრის ფაქტს. მან გამოძიებას განცხადებით მიმართა და ფ. ბ.-ისა და ე. ე.-ის მამხილებელი ჩვენება მისცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითონვე იქნა დაკავებული ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენისათვის /ნ. მ.-ს ამ დანაშაულისათვის შემდგომ პირობითი სასჯელი განესაზღვრა/. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის სხდომაზე ნ. მ.-მა ასეთი ჩვენება მისცა: „როცა ჩამოსული გოგონების სანახავად მივიღოდი პარიკმახერის სახლთან, ქუჩაში მანქანის შუქზე შევნიშნეთ ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი, რა დროსაც ფ. ბ.-მა ე. ე.-ს გააჩერებინა მანქანა და თქვა: ამ ბიჭთან სალაპარაკო მაქვსო. იგი ჩავიდა მანქანიდან და უცნობ ახალგაზრდას დაუწყო საუბარი. ისინი ერთმანეთთან ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე საუბრობდნენ. მე მათ ვერ ვხედავდი სიბნელის გამო და არც საუბრის შინაარსი გამიგია. ჩემი აზრით, ისინი ნაცნობები უნდა ყოფილიყვნენ. მე და ე. ე.-მა მათი საუბრის

დროს მანქანა მივიყვანეთ იმ სახლთან, საიდანაც გოგონები უნდა გამოსულიყვნენ – რომ მივვეცა სიგნალი, მაგრამ სახლიდან არავის გამოუხედავს. ფ.-სა და იმ უცნობი ახალგაზრდისაგან ავტომანქანა დავაყენეთ 20-25 მეტრის მოშორებით. ე. ე.-ი ავტომანქანიდან გადავიდა და ჩაერთო მათთან საუბარში. 5-10 წუთის შემდეგ მე მივედი მათთან და ფ. ბ.-ს ვუთხარი: ჩვენ აქ გოგონების წასაყვანად მოვედით თუ სალაპარაკოდ-მეთქი. ფ.-იმ უკმენად მიპასუხა. მე მას ხელი ვკარი და ისევ მანქანაში დავჯექი, სადაც მუსიკას ვუსმენდი. ე. ე.-ც მოვიდა და ჩაჯდა მანქანაში, ხოლო ფ. და ის უცნობი ახალგაზრდა ბიჭი წავიდნენ სკოლის მხარეს. როდესაც ისინი გავიდნენ, მათ გაჰყვა ე. ე.-ც, მე მათ ველოდებოდი ა/მანქანაში. 20-25 წუთის შემდეგ მოვიდნენ ფ. და ე. ახალგაზრდა უცნობი ბიჭი მათთან აღარ იყო. ფ. მივიყვანეთ თავის დეიდასთან სახლში, ხოლო ჩვენ წავედით ჩვენს სახლებში.” მხარეთა შეკითხვებზე მოწმე ნ. მ.-მა უპასუხა: „როდესაც ფ. ბ.-ვი და უცნობი ახალგაზრდა საუბრობდნენ, მათ შორის გინებასა და დაძაბულ საუბარს ადგილი არ ჰქონია. სხვა მხარეს რომ გავიდნენ, ფ.-მ იქაც მშვიდად გაიყვანა ის. ფ. და ე. რომ დაბრუნდნენ, მათ რაიმე გაღიზიანება მე ვერ შევატყვე”.

დაზარალებულის შუამდგომლობით დამატებით მოწმედ დაკითხულმა, პატიმრობაში მყოფმა რ.მ.-მა მოწმე ნ. მ.-ის მიერ ზემოთ აღწერილ გარემოებასთან დაკავშირებით სასამართლო კოლეგიას ასეთი შინაარსის ჩვენება მისცა: „1997 წლის 30 ივნისს ნ. მ.-ვს სტუმრად ჰყავდა გოგონები. მასთან ერთად იყო ჩემი ახლო ნაცნობი რ. ა.-ვი. მათ მოსაძებნად წავედი მიტოვებული სკოლის შენობაში, მაგრამ ვერც იქ ვნახე. შენობიდან გამოსვლისას გამოვდიოდი სხვა გამოსასვლელიდან და შევესწარი დავას, სადაც იყვნენ ფ. ბ.-ვი, ე. ე.-ვი და ბ. ბ.-ვი. ფ. ბ.-ვი ბ. ბ.-ვს ედავებოდა 1000 ამერიკულ დოლარს. ეს ხდებოდა სკოლასა და მიტოვებულ აუზს შორის. კამათის დროს ფ. ბ.-ს ხელით შეეხო, რაზედაც ბ. ბ.-ვმა ხელი დაარტყა და მანაც საპასუხოდ მოუქნია ხელი. ამის შემდეგ ბ. დაიხარა და ფ.-მ და ე.-მა ხელით გაათრიეს და შეიყვანეს ბასეინის მხარეს მოტოვებულ ერთსართულიან შენობაში. ორი წუთის შემდეგ გაისმა ყვირილის ხმა – „დედა” და 5 წუთში სირბილით გამოვარდნენ შენობიდან ფ. და ე. ფ. რუსულად ამბობდა: – „ჩქარა, ჩქარაო.” მათ მიიღბინეს ა/მანქანასთან, ჩასხდნენ და წავიდნენ კლუბის მიმართულებით.”

სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის შეკითხვაზე მოწმე რ. მ.-მა განმარტა: „ამ დროს უკვე ბნელოდა და მანქანის ფერი ვერ გავარჩიე.” პროკურორის შეკითხვაზე რ. მ.-მა უპასუხა: „ამ დროს მე სკოლის სახურავზე ვიყავი, მთვარიანი ღამე იყო და სამივეს კარგად ვხედავდი”.

ადვოკატის შეკითხვაზე კი უპასუხა: „რ.-სა და მისი დის სახლთან მე ავტომანქანა არ მინახავს. ა/მანქანა არც სკოლასთან მინახავს, არც ავტომანქანის საყვირის ხმა გამიგია და არც ავტომანქანის შუქები ღამინახავს”.

ასეთი წინააღმდეგობრივი ჩვენებების მიუხედავად, სასამართლო კოლეგია არ ცდილა, გაერკვია: მოწმე რ. მ.-ი ღამით სკოლის სახურავზე რატომ იმყოფებოდა; რა მანძილით იყო ის დაცლილებული იმ ადგილიდან, სადაც, მისი თქმით, ბ.-ები კამათობდნენ და ე. ე.-ის ავტომანქანა იდგა; შეეძლო თუ არა მას შეეცნო მოკამათეები და გაეგო, რა თემაზე კამათობდნენ; თუ პიროვნებების დანახვა და შეცნობა შეეძლო, რატომ ვერ გაარჩია ავტომანქანის ფერი და მრავალი სხვა საკითხი, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მოწმის ჩვენების უტყუარ მტკიცებულებად მიღებისათვის.

აღნიშნული ხარვეზების გამოსწორებას შეეცადა გამოძიებელი ყაჩაღობის ბრალდების ნაწილში საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შემდეგ, მაგრამ მოწმის

შემთხვევის ადგილზე გაყვანა და საგამომიებო ექსპერიმენტი მაინც სერიოზული ხარვეზებით ჩატარდა და ზემოაღნიშნულ საკითხებს ნათელი ვერ მოეფინა. გამომძიებელმა მოწმე რ. მ.-ვი ჩვენების შესამოწმებლად პირველად შემთხვევის ადგილზე გაიყვანა 1998 წლის 19 ნოემბერს, დღის 12 საათსა და 10 წუთზე, რაც დამთავრდა 14 საათსა და 5 წუთზე (მოწმე რ.მ.-ის მიერ აღწერილი ქმედება და ბ. ბ.-ის მკვლელობა მოხდა 1997 წლის 30 ივნისს, ღამის საათებში). მეორედ გამომძიებელმა ექსპერიმენტის ჩასატარებლად რ.მ.-ვი შემთხვევის ადგილზე გაიყვანა 1999 წლის 24 მაისს. ოქმის მიხედვით ექსპერიმენტი დაიწყო 22 საათსა და 15 წუთზე. დამთავრდა 22 საათსა და 45 წუთზე. ექსპერიმენტს არ ესწრებოდნენ ბრალდებულები, მათი ადვოკატები ან წარმომადგენლები. ოქმში დამსწრეებად მითითებული არიან რ. ბ.-ნი და ა.ს.-ვი, ხოლო სპეციალისტად – შ. ს.-ვა. გაუგებარია, შ. ს.-ვა რა დარგის სპეციალისტია და ექსპერიმენტის დროს რა მოვალეობას ასრულებდა. გაუგებარია ისიც, დამსწრე ა. ს.-ვი და სპეციალისტი შ. ს.-ვა რა დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ოქმის მიხედვით მხედველობის მანძილი არის 6 კილომეტრი, მაგრამ ახსნილი არ არის, ვინ განსაზღვრა ეს მანძილი და – რა საშუალებით (საქმეზე დართული მეტეოროლოგიური სადგურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით ბ. ბ.-ის მკვლელობის საღამოს, 1997 წლის 30 ივნისს, 22 საათიდან 22 საათსა და 30 წუთამდე, იყო მცირე წვიმა). ოქმში მითითებული არ არის: რა გზით ავიდნენ ექსპერიმენტის მონაწილენი სკოლის სახურავზე; ეს მარშრუტი ემთხვევა თუ არა რ. მ.-ის მიერ მოწმის სახით დაკითხვის დროს დასახელებულ მარშრუტს; რა დრო მონადომეს ამ გზის გავლას და რა მანძილით იყვნენ დაშორებული ექსპერიმენტში მონაწილე ის პირები, რომლებიც რ. მ.-ვს უნდა შეეცნო და მათი ხმა მოესმინა.

გამომძიებას არ შეუჯერებია ერთმანეთთან ნ. მ.-სა და რ. მ.-ის ჩვენებები ფ. და ბ. ბ.-ბის დგომის ადგილისა და შემდგომი მოძრაობის მიმართულების თაობაზე.

გარდაბნის რაიონულ სასამართლოში ყაჩაღობის ჩადენის ნაწილში ფ. ბ.-ის ბრალდების საქმის განხილვისას ჩატარებული ექსპერიმენტის დროს, რომელშიც განსასჯელის ადვოკატიც მონაწილეობდა, მოწმე რ. მ.-მა ვერ ამოიცნო მის მიერ მითითებულ ადგილზე მდგომი ექსპერიმენტის მონაწილე პირები და ვერ დააფიქსირა მათი საუბრის შინაარსი. ამ გარემოების გამო სასამართლომ რ. მ.-ის ჩვენებები არ ჩათვალა ფ. ბ.-ის ბრალდების მტკიცებულებად.

დიდი პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ადვოკატმა წარმოადგინა რ. მ.-ის მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 3 აპრილის განაჩენის ასლი, რომლის მიხედვითაც საერთოდ ეჭვის ქვეშ დგება ამ პირის (რ.მ.-ის) საქართველოში ყოფნა იმ დროს, როცა ბ. ბ.-ვი იქნა მოკლული.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას დ. წ.-ემ განმარტა, რომ ის რამდენჯერმე არის ნასამართლევი სხვადასხვა დანაშაულისათვის და სასჯელის მოხდის პერიოდში თანამშრომლობდა პოლიციის მუშაკებთან. 1997 წლის ბოლოს, როცა სასჯელს იხდიდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ფ. კ.-ლმა დაავალა, გაეგო ბ. ბ.-ის მკვლელობა იყო თუ არა ჩადენილი ფ. ბ.-ის მიერ. ამისთვის მისცა სამი დღის ვადა და გადაიყვანა ფ.ბ.-ის საკანში. ასეთივე დავალება მიეცა პატიმარ რ. ს.-საც. დავალების შესრულებისათვის ფ. კ.-ლი მათ ამარაგებდა ნარკოტიკებით, უგზავნიდა ამანათებს და შეჰპირდა შეწყალებაში დახმარებას. მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ მკვლელობა ფ. ბ.-ვის მიერ არ იყო ჩადენილი, ამის შესახებ აცნობა ფ. კ.-ლს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ დაიჯერა და მუქარით დაავალა რამდენიმე დღეში მიეღწია ფ. ბ.-საგან აღიარებას. ამ

დავალების შესასრულებლად ის ფ. ბ.-ვს უკეთებდა ნარკოტიკებს, ჩეფირში (ჩაის ნაყენი) უყრიდა გამაბრუებელ საშუალებებს და მოტყუებით მიაღწია იმას, რომ დააწერინა აღიარებითი წერილები.

მოწმის სახით დაკითხულმა რ. ს.-მა დაადასტურა დ. წ.-ის ჩვენება.

საქმის მასალებით გარკვეული არ არის, ოპერატიულმა მუშაკმა – ფ. კ.-ლმა როდის, ვისგან და რა გზით მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფ. ბ.-მა ოქროს ყელსაბამი ქ..... ისის რაიონის პოლიციის ერთ-ერთ ოთახში დივნის ქვეშ გადამალა. ახსნილი არ არის არც ის, დაკავებულ ფ. ბ.-ვს ჰქონდა თუ არა საშუალება, ყელიდან მოეხსნა ოქროს ჯაჭვი და დივნის ქვეშ დაემალა.

ფ. ბ.-ის მიმართ შერაცხულ ბრალდებათა ერთ-ერთ მტკიცებულებად როგორც უზენაესი სასამართლოს, ასევე საოლქო სასამართლოს განაჩენი მიიჩნევა მსჯავრდებულის ბინის ჩხრეკის დროს ამოღებულ „...-ის“ მარკის დაზიანებულ საათს, რომელიც გარდაცვლილი ბ. ბ.-ის დედამ ამოიციო როგორც მისი შვილის საკუთრება. მოწმეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ განმარტა, რომ ეს საათი ფ. ბ.-ის ოჯახს ეკუთვნოდა. გამოძიებამ და სასამართლომ ვერ აღმოფხვრეს დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებში არსებული ეს წინააღმდეგობა. ამის გარკვევას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ოქროს სხვა ნივთების ბედი, რომლებიც აწ გარდაცვლილ ბ. ბ.-საგან არის გატაცებული, საერთოდ გაურკვეველია. მითითება იმაზე, რომ ბ. ბ.-ვის კუთვნილი ერთ-ერთი ბეჭედი ფ. ბ.-მა გაყიდა, მხოლოდ ვარაუდს ეყრდნობა და უტყუარად არაფრით არის დადასტურებული.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფ. ბ.-ვს არც ერთხელ არ უღიარებია ბ. ბ.-ვის დაყაჩაღებისა და მკვლელობის ფაქტი. დაკითხული არ არის შემთხვევის მნახველი სხვა პირი, რომელიც აღწერდა დანაშაულის ჩადენის გარემოებებსა და დეტალებს (სავარაუდოა, რომ ასეთი პირი არც არსებობს დანაშაულის თანამონაწილის გარდა). დიდი პალატა მიიჩნევს, რომ ასეთ ვითარებაში საქმეში რომც არ არსებულებოდა შემოაღნიშნული სერიოზული ხარვეზები და საეჭვო გარემოებანი, ფ. ბ.-ის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახვი მკვლელობისათვის გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა და უვადო თავისუფლების აღკვეთის მისჯა მაინც დაუშვებელი იყო მანამდე, სანამ სრულყოფილად არ გაირკვეოდა დანაშაულში (ყაჩაღობასა და მკვლელობაში) თანამონაწილე თითოეული პირის როლი და ბრალეულობის ხარისხი. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ფ. ბ.-ის მიმართ დაადგინა რა გამამტყუნებელი განაჩენი ბ. ბ.-ის განზრახვი მკვლელობისათვის, ხოლო ე. ე.-ის მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობასა და განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის და გამოსადიებლად გადასცა პროკურატურას, ამით გადაწყვიტა არა მარტო ფ. ბ.-ის დამნაშავეობა და მისი ბრალეულობის ხარისხი, არამედ – ე. ე.-ის ბედიც. იმავე განაჩენით, ასევე ფაქტობრივად გადაწყდა ფ. ბ.-ის ბრალეულობა ყაჩაღობაშიც. ამის გამო დიდი პალატა იზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ როგორც დამატებითი გამოძიება, ასევე რაიონული და სააპელაციო სასამართლოები ფ. ბ.-ის მიმართ ყაჩაღობის შერაცხვის დროს მოექცნენ უზენაესი სასამართლოს განაჩენის ზეგავლენის ქვეშ.

დიდი პალატა თვლის, რომ დამატებითი გამოძიებით შემოაღნიშნული ყველა გარემოების სრულყოფილი გამოკვლევის, დამნაშავე პირთა უტყუარად დადგენის, მათი ბრალეულობის ხარისხის ზუსტად გამოკვეთის შემდეგ შეიძლება ბ. ბ.-ის დაყაჩაღებასა და მკვლელობაში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა.

პალატა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბრალდების მტკიცებულებანი მოპოვებული უნდა იქნეს კანონიერად და საპროცესო ნორმების დაცვით.

პალატას მიაჩნია, რომ დამატებითი გამოძიების დროს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სასამართლო პროცესებზე დაზარალებული მხარის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებას, რომ წინა პერიოდში უცნობმა პირებმა 1000 ამერიკული დოლარი გამოსძალეს არასრულწლოვან ბ. ბ.-ვს. უნდა გაირკვეს, მართლა მოხდა თუ არა ეს ფაქტი და მის ჩამდენს რაიმე კავშირი ზომ არა აქვს ბ. ბ.-ის მკვლელობასთან.

დიდმა პალატამ რევიზიის წესით შეისწავლა ფ. ბ.-ის მიმართ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენი ხულიგნობის ბრალდებით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში განაჩენი მიიჩნია კანონიერად და სამართლიანად. ამასთან, ვინაიდან ხულიგნობისათვის მისჯილი სასჯელი – ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა – ფ. ბ.-ვს უკვე მოხდილი აქვს, იგი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, ხოლო აღკვეთის ღონისძიების საკითხი მის მიმართ უნდა გადაწყდეს დამატებითი გამოძიების შედეგების მიხედვით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე, 570-ე, 571-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 16 სექტემბრის განაჩენი ფ. ბ.-ის მიმართ განზრახი მკვლელობის ბრალდების ნაწილში; ასევე გაუქმდეს მის მიმართ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი და საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნდეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1998 წლის 16 სექტემბრის განაჩენი ხულიგნობის ბრალდების ნაწილში ფ. ბ.-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

იმის გამო, რომ საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით (ხულიგნობა) მისჯილი სასჯელი – ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა – მოხდილი აქვს, ფ. ბ.-ი გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.